F 171
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1980

მაისი №5 МАЙ

МИНИСТЕРТСВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი — ი. ქურციკიძე
ტექრედაქტორი — ა. ბაკურაძე
კორექტორი — ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 5/IX-80 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/X-80 წ.; ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 6,25; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,25;

შეკვეთა № 862 უე 14052 ტირაჟი 5.000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.
Типография Министерства просвещения ГССР, Нуцубидзе 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის პრეზიდიუმისა და საქართველოს დოსაafის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროს

**1979 წლის 13 დეკემბრის**

## დადგენილება

### ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის ჩატარების შესახებ

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის პრეზიდიუმის და სსრკ დოსაafის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროს 1979 წლის 18 ოქტომბრის № 59/17-ა დადგენილების „ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების საკავშირო კვირეულის ჩატარების შესახებ" შესაბამისად საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის პრეზიდიუმი და საქართველოს დოსაafის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურო ადგენენ:

1. 1980 წლის 3-დან 8 იანვრამდე ქ. თბილისში, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე, ჩატარდეს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ტრადიციული კვირეული და მიეძღვნას იგი ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 110 წლისთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კვირეულში მონაწილეთა რაოდენობრივი განაწილება და პროგრამა დამტკიცდეს.

3. მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის საზეიმო გახსნა მოეწყოს ქ. თბილისში, საზეიმო გახსნაზე მოწვეულ იქნან მოსწავლეთა დელეგაციები რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან, სულ 350 მონაწილე (მათ შორის 62 ხელმძღვანელი). დელეგატები შერჩეულ იქნან სამეცნიერო-ტექნიკურ დათვალიერებაში, გამოფენებში, კონკურსებსა და შეჯიბრებებში გამარჯვებულ მოსწავლეთაგან.

4. რესპუბლიკური კვირეულის ჩატარების ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდეს. ხარჯები გაღებულ იქნას წილობრივი მონაწილეობით კვირეულის ორგანიზატორების მიერ:

ა) სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო — 1500 მან.

ბ) გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო — 1500 მან.

გ) საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობა — 1000 მან.

დ) დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი — 1000 მან.

ე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური — 2500 მან.

5. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საბჭოებს, საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივ ორგანიზაციებს, დოსააფის კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ტექნიკის სახლებში, პროფკავშირთა კულტურისა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექნიკის სახლებში. იზრუნონ მოსწავლე-ახალგაზრდობის კვირეულში ფართოდ ჩაბმისათვის;

ბ) კვირეულის დღეებში ფართოდ გააცნონ მოსწავლეებს ჩვენს ქვეყანაში ლენინის იდეების, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების და მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულების მიმდინარეობა; მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების მიღწევები, ყურადღება გაამახვილონ მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების შემეცნებითი აქტივობისა და პროფესიული ორიენტაციის განვითარებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ", კომკავშირის XVIII ყრილობის, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად;

გ) კვირეულის მონაწილეთა ქ. თბილისამდე და უკან დასაბრუნებელი გზისა და კვების ხარჯები გაღებულ იქნას სათანადო (ქალაქის) რაიონის განათლების განყოფილების მიერ.

6. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა და კვირეულის ჩატარების რეკომენდაციები დამტკიცდეს (თან ერთვის).

7. გაზეთების „ნორჩი ლენინელის", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", „სახალხო განათლების", ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების", საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკის სკოლებში კვირეულის მზადებისა და ჩატარების საკითხები, საუკეთესო კოლექტივების საქმიანობა, რომლებიც ზრუნავენ მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარებისათვის.

8. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილებამ (ამხ. რ. ღარიბაშვილი) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) უზრუნველყონ პროგრამის შესრულება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინფორმაცია მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის ჩატარებისა და მისი შედეგების შესახებ წარმოდგენილ იქნას საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში 1980 წლის 1 თებერვლამდე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

**ჟ. შარტავა**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

**თ. ქინქლაძე**

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

**მ. პოლიაკოვი**

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე

**ვ. ყიფიანი**

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

**დ. გოგოხია**

საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე

**ვ. ჯანჯღავა**

**ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის საორგანიზაციო კომიტეტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. წიკლაური მ. პ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

2. პოლიაკოვი მ. ი. — საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

3. ტატიშვილი გ. ზ. — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

4. მეიფარიანი ო. ნ. — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

5. ჭუმბურიძე ი. დ. — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი

6. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

7. ეპიტაშვილი გ. გ. — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

8. ღარიბაშვილი რ. შ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

9. გაგნიძე კ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე

10. რუხაძე ლ. შ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი

11. მარტიროსოვი ლ. ს. — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი

12. ახვლედიანი ბ. ს. — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის რეფერენტი

13. ლორთქიფანიძე ზ. ლ. — საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს სწავლული მდივანი

14. ილიუშინა ტ. ა. — საქართველოს სსრ დოსააფის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ႰႤႩႭႫႤႬႣႠႺႨႤႡႨ

## ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების საკავშირო კვირეულის ჩასატარებლად

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების საკავშირო კვირეული ტარდება ყოველწლიურად, ზამთრის არდადეგების პერიოდში (3-8 იანვარი). კვირეულში მონაწილეობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების IV-X კლასის მოსწავლეები.

### კვირეულის ჩატარების მიზანი

— სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის, საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების მიღწევების პროპაგანდა მოსწავლეთა **შორის;**

— მოსწავლეთა დაინტერესება სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებით, რაციონალიზაციითა და გამომგონებლობით, მოსწავლეთა მომზადება პროფესიის შეგნებულად არჩევისათვის;

— ტექნიკური წრეებისა და კლუბების, მოსწავლეთა სამეცნიერო საზოგადოებების, შემოქმედებითი გაერთიანებების ქსელის გაფართოება, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება;

— მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარებით დაინტერესებული ორგანიზაციების გაერთიანება და გააქტივება.

### კვირეულის შინაარსი

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების საკავშირო კვირეული ტარდება სკოლებში, სკოლისგარეშე და კულტსაგანმანათლებლო ორგანიზაციებში, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ბაზაზე.

კვირეულის დღეებში ფართოდ უნდა გაიშალოს თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების მიღწევათა პროპაგანდა, მოსწავლეებს გაეცნოს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა, მშობლიური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხარის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები, მასობრივი მუშური პროფესიები და პროფტექნიკური განათლების სისტემა.

სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებსა და ტექნიკის სახლებში უნდა ჩატარდეს მეცნიერებისა და ტექნიკის ზეიმი, თემატური საღამოები, საგნობრივი ოლიმპიადები, ზეპირი ჟურნალები, საზრიანთა ტურნირები, ვიქტორინები, ლექციები, საუბრები, სამეცნიერო-პოპულარული კინოჟურნალების ჩვენება, კედლის გაზეთების, რეფერატების კონკურსები. შეიძლება ჩატარდეს შეხვედრები სოციალისტური შრომის გმირებთან, ხუთწლედის დამკვრელებთან, მეცნიერებთან და სპეციალისტებთან, რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებთან; შეჯიბრებები ტექნიკურ მოდელირებაში, კონკურსები საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებაზე, სპორტის ტექნიკურ სახეობათა ოსტატებისა და ნორჩი ტექნიკოსების საჩვენებელი გამოსვლები; მოდელების, ხელსაწყოების, კონსტრუქციების გამოფენები, ფანტასტიკური პროექტების დაცვის კონკურსები.

საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, მუზეუმებში, ტექნიკურ ბიბლიოთეკებში რეკომენდებულია მოეწყოს: ღია კარის დღეები, ექსკურსიები, შრომითი დიდების ოთახების დათვალიერება, შეხვედრები კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებთან, გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატებთან, შრომის ვეტერანებთან, კითხვა-პასუხის საღამოები, ლექციები და საუბრები სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიური ცოდნის საკითხებზე, მოსწავლეთა კონკურსები პროფესიაში საუკეთესოს გამოსავლინებლად, მოსწავლეთა მიწვევა შრომის ზეიმზე, წარმოების ნოვატორებისა და მოწინავეების, შრომითი დინასტიებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე, ახალგაზრდა მუშების პროფესიული ოსტატების კონკურსებზე.

ქალაქებსა და რაიონებში შეიძლება ჩატარდეს კვირეულის საზეიმო გახსნა, შეკრებები, კონფერენციები, ნორჩ ტექნიკოსთა რეფერატების კონკურსები, მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედების გამოფენები, ფოტოგამოფენები, შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში, სამეცნიერო-შემეცნებითი კინოფილმების კვირეული, ქალაქისა და სოფლის მოსწავლეთა შეხვედრები.

კვირეულის მომზადებისა და ჩატარებისათვის კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით, იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებიც ატარებენ ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ სამუშაოს ორგანიზაციების, საწარმოებისა და კოლმეურნეობების ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების, მეცნიერების, სტუდენტების, გამომგონებლების მოზიდვისა და კვირეულის მუშაობაში ჩაბმისათვის.

სკოლაში, სკოლისგარეშე დაწესებულებაში იქმნება საბჭო ან შტაბი, რომელშიც შედიან პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, საშეფო საწარმოთა წარმომადგენლები, ტექნიკური წრეების ხელმძღვანელები. საბჭო ადგენს კვირეულის მომზადებისა და ჩატარების გეგმას ქალაქის, რაიონის პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. გეგმის მიხედვით ნაწილდება დავალებები კლასებზე, ტექნიკურ და საგნობრივ წრეებზე, ლექტორთა ჯგუფზე, სასკოლო მუზეუმზე; გამოიყოფა პასუხისმგებელი პირები ამა თუ იმ კონკრეტული ღონისძიების ჩატარებაზე. საბჭო უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას, ახორციელებს შეფებთან კავშირს, უზრუნველყოფს კვირეულის მუშაობაში ყველა პიონერისა და მოსწავლის მონაწილეობას.

კვირეულისადმი მზადების პერიოდში შეიძლება ჩატარდეს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დათვალიერება მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების დარგში, ნორჩ ხელმარჯვეთა კონკურსები, შეიქმნას შრომითი დიდების, მშობლიური მხარის მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების, სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიის ოთახები და მუზეუმები, მოეწყოს ლექტორიუმები და კინოლექტორიუმები.

**ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკურ კვირეულში მონაწილეობის პირობები**

კვირეულის მონაწილეებად შეიძლება შეირჩნენ რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ დათვალიერებებში, კონკურსებში, შეკრებებში, გამოფენებსა და შეჯიბრებებში გამარჯვებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის VI-X კლასის ნორჩი ტექნიკოსები.

დელეგაციის შემადგენლობა შეირჩევა ისეთნაირად, რომ მის თითოეულ წევრს შეეძლოს მუშაობა რომელიმე სექციაში.

აუცილებელია მომზადდეს პატაკი ქალაქში (რაიონში) კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხებზე (ისტორიული ხასიათის მოკლე მონაცემები, მუშაობის ამჟამად არსებული მდგომარეობისა და ნორჩ ტექნიკოსთა საუკეთესო კოლექტივების შესახებ), რომლის ჩაბარება უნდა მოხდეს კვირეულის გახსნის დროს.

თითოეული მონაწილე-მოსწავლე კვირეულზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ნამუშევარს, რომლის შესრულებაში მას მონაწილეობა აქვს მიღებული (მოდელი, მცირეგაბარიტიანი მანქანები, მოწყობილობა, ნატურალისტური მუშაობა, სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოები და სხვა).

სამუშაოს თემატიკა უნდა ეთანაბრებოდეს სექციის პროფილს. წარმოდგენილი უნდა იქნას ისეთი სამუშაოები, რომლებიც შესრულებულია 1978—1979 წლებში (მათ შორის რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს“ შემაჯამებელ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები).

სექციურ სხდომებზე წარმოდგენილ ექსპონატებს თან უნდა ახლდეს ტექნიკური აღწერილობა, ინსტრუქცია მისი ჩართვისა და დემონსტრირებისათვის, საერთო ხედის ფოტოსურათი 13×18 სმ ზომის 2 ცალი.

სექციურ სხდომებზე მოსწავლეები დამსწრეებს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს, აქვე იწარმოებს მათი ნამუშევრების „დაცვა“.

ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას გულდასმით გაფორმებულ საქაღალდეებში (რომელზედაც აღინიშნება ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და წრე).

თითოეული ქალაქის (რაიონის) დელეგაციას ხელმძღვანელობს განათლების განყოფილების, ან სკოლისგარეშე დაწესებულების წარმომადგენელი.

კვირეულის მონაწილეთა ჩამოსვლა და რეგისტრაცია იწარმოებს 1980 წლის 3 იანვარს, მისამართი: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი № 1, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური (ტელ. 34-06-39, 34-07-60).

### რესპუბლიკური კვირეულის მონაწილეთა დაჯილდოება

ჟიურის გადაწყვეტილებით კვირეულზე წარმოდგენილი ექსპონატების ავტორები აღინიშნებიან ქების სიგელებითა და სამახსოვრო პრიზებით. დაჯილდოვდებიან, აგრეთვე, სპორტის ტექნიკურ სახეობათა საჩვენებელ გამოსვლებში, კონკურსებსა და ვიქტორინებში გამარჯვებული მოსწავლეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

## 1979 წლის 27 დეკემბრის
## გადაწყვეტილება

### მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის ახალციხის რაიონის პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, მოისმინა და განიხილა რა შემოწმების შედეგები, გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცნობა „მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის ახალციხის რაიონის პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის შესახებ" დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს.

2. დაევალოს ახალციხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას (ამხ. ო. მესხიძე) შემოწმების შედეგად გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით:

2.1. რაიონის სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობა წარმართოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 26 აპრილის დადგენილების „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ" — მოთხოვნათა შესაბამისად;

2.2. კომკავშირის რაიონულ კომიტეტთან, სამხედრო კომისარიატთან, დოსააფის რაიკომთან და სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივ შტაბთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სრულყოფის, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის მათი მომზადების ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისა და ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავის შეხვედრის საკითხებს;

2.3. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობასთან მუშაობა წარმართოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის 1979 წლის 12 იანვრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობლივი ბრძანებისა და აღნიშნულ საკითხზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დადგენილების საფუძველზე;

2.4. განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებისათვის. ადგილობრივი პირობების შესაბამისად მიიღონ ზომები სკოლებში სასწავლო სასროლეთების, საველე და ტექნიკური მომზადების მოედნების ქსელის გაფართოებისათვის. მთლიანად უზრუნველყონ სკოლები ტაბელით გათვალისწინებული სამხედრო-სასწავლო იარაღით და სამოქალაქო თავდაცვის ხელსაწყოებით;

2.5. სრულყონ მუშაობის სტილი და მეთოდები მოსწავლეთა სამხედრო პროფესიული ორიენტაციისათვის. მიაღწიონ იმას, რომ სკოლებში სათანადო პროპაგანდა გაეწიოს საბჭოთა ოფიცრის პროფესიას. საქმიანი კონტაქტები დაამყარონ რაიონის სამხედრო კომისარიატთან, დოსაафის რაიკომთან, სამოქალაქო თავდაცვის რაიონულ შტაბთან, შეფ სამხედრო ნაწილებთან. უფრო ქმედითი გახადონ სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, მშობელთა კოლექტივის საქმიანობა მოსწავლეთა სამხედრო პროფესიებზე ორიენტაციის საქმეში;

2.6. რაიონის სამხედრო კომისარიატთან ერთად გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები რაიონის სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელთა შემადგენლობის გაუმჯობესებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

3. სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიურმა კოლექტივებმა:

3.1. აამაღლონ სკოლაში პოლიტიკური განათლების შინაარსი. მჭიდროდ დაუკავშირონ იგი მშობლიური მხარის, რაიონის, სოფლის, შეფი სამხედრო ნაწილის საქმიანობას. შექმნან სკოლებში ვ. ი. ლენინის, საბრძოლო დიდების, ისტორიულ-რევოლუციური მუზეუმები, ოთახები, კუთხეები, გალერეები; ჩამოაყალიბონ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები, წრეები, მოსწავლეთა ლექტორიუმები; გააფართოონ „თემურელთა“ და წითელკვალმაძიებელთა“ მოძრაობა. აქტიურად ჩააბან სკოლები სამხედრო-პატრიოტული მუშაობის საკავშირო და რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსებში;

3.2. უფრო ქმედითი გახადონ მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ფორმები და შინაარსი როგორც სასწავლო, ისე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესში. უზრუნველყონ მოსწავლეებთან მასობრივი და ინდივიდუალური მუშაობის ფორმების სწორი შეფარდება. შექმნან საჭირო პირობები სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისათვის, მათ მიერ მშთ-ს ნორმატივების ჩაბარებისათვის;

3.3. კიდევ უფრო გააქტიურონ „ნორჩ მესაზღვრეთა" რაზმების საქმიანობა, უფრო მჭიდრო და საქმიანი კონტაქტები დაამყარონ მესაზღვრეებთან;

3.4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ მუშაობას სკოლებში და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. რაიონში არსებული სპორტული ბაზების მაქსიმალურად გამოყენებით უზრუნველყონ წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების მომზადება დამტკიცებული გეგმის მიხედვით. სისტემატურად ჩაატარონ შეჯიბრებები მშთ ფიზკულტურული კომპლექსის მრავალჭიდში;

3.5. გააქტიურონ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების მუშაობა. მათი საქმიანობის უმთავრეს ამოცანად დასახონ მოსწავლეებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის განვითარება, მათში მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის აღზრდა.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ახალციხის რაიონში სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე, შემოწმების მასალების საფუძველზე, გატარებულ იქნა ორგანიზაციული ღონისძიებები. მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის გამოეცხადოთ: სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით ზიკილის საშუალო სკოლის დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელს ნ. კალანდაძეს; სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით ვალეს მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს ზ. ნათენაძეს და ამავე სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორს ა. ბერიძეს; მიეცა მითითება ამავე სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს ც. ნოზაძეს.

5. მოსწავლე-ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მიზნით პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის შესახებ ინფორმაცია ახალციხის რაიონის სახალხო განათლე-ბის განყოფილების გამგის მიერ წარმოდგენილ იქნას 1980 წლის მაისში.

6. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის ახალციხის რაიონის პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის შესახებ

მიმდინარე წლის ნოემბერში განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ შეისწავლა ახალციხის რაიონში მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მიზნით განათლების განყოფილების, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მიერ გაწეული მუშაობა. შემოწმების მიზანი იყო მათი საქმიანობის დადებითი გამოცდილების გაცნობა, არსებული ხარვეზების გამოვლენა, გამომწვევი მიზეზების ანალიზი და მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გაწევა.

მუშაობის პროცესში ბრიგადის წევრები გაეცნენ რაიონის 18 სკოლის (12 საშუალო, 4 რვაწლიანი და 2 სკოლა-ინტერნატი) და განათლების განყოფილების საქმიანობას.

საკითხის შესწავლაში მონაწილეობდნენ კომკავშირის რაიონული კომიტეტის, სამხედრო კომისარიატისა და დოსააფის რაიონული კომიტეტის მუშაკები.

შემოწმებამ ცხადყო, რომ რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს გარკვეული მუშაობა აქვთ გაწეული მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის დადგენილების „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ" — პრაქტიკულად განხორციელების საქმეს. აღნიშნულ დადგენილებაში, ზემდგომი ორგანოების სადირექტივო დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, საყოველთაო სამხედრო სამსახურისათვის მათი მომზადების საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში ფართო მუშაობა მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისა და ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავის მაღალ დონეზე აღნიშვნისათვის. შემუშავებულია ჩასატარებელ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები, რომლებიც მრავალ საინტერესო საკითხს ითვალისწინებენ.

უკანასკნელ ხანებში ხორციელდება პრაქტიკული ღონისძიებები მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, მისი სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის. ამის შედეგად სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ახერხებენ, ძირითადად, სწორად გადაჭრან მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხები.

მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მათში კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირება ხდება ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებზე, სკკპ და საბჭოთა ხალხის გმირულ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობის, ლ. ი. ბრეჟნევის ტრილოგიის, მისი სიტყვებისა და გამოსვლების, სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოებრივი დოკუმენტების სკოლებში შესწავლას. რაიონის სკოლების ცალკეული მასწავლებლები აღნიშნულ საკითხებს ძირეულად უკავშირებენ საპროგრამო მასალას და ამით სრულად იყენებენ იმ შესაძლებლობებს, რასაც ეს დოკუმენტები იძლევიან მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის სრულყოფისათვის. (ლ. ქურდაძე — მუსხის საშუალო სკოლა, თ. გოგოლაძე — წნისის 8 წლიანი სკოლა, ქ. კაკაჩავა — ვალეს 1-ლი საშუალო სკოლა, ა. ჭონიშვილი — სვირის საშუალო სკოლა, ნ. გვარამიძე — ახალციხის მე-2 საშუალო სკოლა-ინტერნატი, ე. კურტანიძე — კლდის 8-წლიანი სკოლა). აღნიშნული პედაგოგები სისტემატურად იმაღლებენ პედაგოგიურ ოსტატობას და პროფესიული ცოდნის დონეს, იჩენენ მკაცრ მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და მოსწავლეების მიმართ, სისტემატურად სრულყოფენ გაკვეთილის ხარისხს, აღწევენ იმას, რომ ერთიან პროცესად აქციონ მოზარდი თაობის სწავლება და აღზრდა.

სკოლების უმრავლესობა აღჭურვილია სასწავლო-ტექნიკური

და თვალსაჩინოების საშუალებებით, მომარაგებულია საჭირო სამხედრო-სასწავლო იარაღებით, რომლებიც დაცულია სათანადო ინსტრუქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მიზნად ისახავენ ჩამოუყალიბონ მოსწავლეებს სიამაყის გრძნობა საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების მონაპოვრისადმი, აამაღლონ მათი პირადი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, აღზარდონ ისინი სოციალისტური სამშობლოს ერთგულ დამცველებად. აღნიშნულის მისაღწევად რაიონის რიგი სკოლების პედაგოგიური კოლექტივები უნარიანად იყენებენ სხვადასხვა პროფილის სასკოლო მუზეუმებს, ოთახებს, გალერეებს (ახალციხის 1-ლი, მე-2, მე-4, ვალეს 1-ლი, წყალთბილის, ზიკილის, აწყურის საშუალო სკოლები, 1-ლი და მე-2 სკოლა-ინტერნატები). ამ სკოლებში მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, მათ იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასობრივი ღონისძიებები. ტრადიციადაა დამკვიდრებული ლენინური და სიმამაცის გაკვეთილების, ინტერნაციონალური საღამოების, მეგობრობის ფესტივალების ჩატარება, შეხვედრების მოწყობა პარტიის, კომკავშირის, დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, შეფი სამხედრო ნაწილის მებრძოლებთან, წვევამდელებთან და არმიიდან დემობილიზებულ კურსდამთავრებულებთან. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან „წითელკვალმაძიებელთა“, „თემურელთა“, „მესაზღვრის ნორჩ მეგობართა“ რაზმები. შემოწმებული სკოლების მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი კარგად იცნობს ვ. ი. ლენინის მოძღვრებას სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ, სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნებს. სკოლებში ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, დისპუტები, ვიქტორინები, საღამოები სამამულო ომის თემებზე შექმნილი ნაწარმოებების, ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომების მიხედვით (ახალციხის 1-ლი, მე-2, მე-4, ვალეს 1-ლი, აწყურის, გიორგიწმინდის, წყალთბილის საშუალო, საყუნეთის 8 წლიანი სკოლები).

მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, სამხედრო

საქმით მათი დაინტერესება, ძირითადად, დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილებზე ხდება. დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილებზე მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება მოითხოვს მუშაობაში მრავალმხრივი ფორმების გამოყენებას, მათ სისტემატურ სრულყოფას და გაღრმავებას. აღნიშნულ საკითხებს ახალციხის რაიონის განათლების განყოფილება, სკოლის დირექციები და პედაგოგიური კოლექტივები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ. სისტემატური კონტროლია დაწესებული დაწყებითი სამხედრო მომზადების კურსის სწავლების თეორიულ და მეთოდურ დონეზე, მისი სრულყოფის საკითხებზე, უსაფრთხოების ზომების დაცვაზე. მოთხოვნათა შესაბამისად მიმდინარეობს მოსწავლე-გოგონების მზადება სანიტარულ რაზმელებად.

დაწყებითი სამხედრო მომზადება წარმოადგენს ახალგაზრდობის სამხედრო სწავლების აუცილებელ სახელმწიფოებრივ ფორმას და მოზარდი თაობის საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის მომზადების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად იყენებს სამხედრო ხელმძღვანელი სწავლების აღმზრდელობით ფუნქციას, რამდენად სრულად ფლობს კომუნისტური აღზრდის პრინციპებს და მეთოდებს, რამდენად მიზანსწრაფულად და ორგანულად ახორციელებს პედაგოგიურ ხელმძღვანელობას მომავალი მებრძოლის პიროვნების ფორმირების პროცესში.

რაიონის რიგი სკოლების დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელების გარკვეული ნაწილი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მეცადინეობებს შინაარსიანად და საინტერესოდ ატარებს. სწავლების პროცესში უნარიანად იყენებს ტექნიკურ საშუალებებს, თვალსაჩინოების მასალებს. გონივრულად ახორციელებს ურთიერთკავშირს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებს შორის. (ა. ნანიაშვილი — ახალციხის მე-2 სკოლა-ინტერნატი, ნ. გუტეი — ახალციხის 1-ლი სკოლა-ინტერნატი, მ. რეზნიკოვი — ახალციხის მე-2 საშუალო სკოლა, პ. პეტროსიანი — ახალციხის მე-4 საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა, გ. ალიხანოვი — ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა, გ. ბ[illegible]რიძე — ვალეს 1-ლი საშუალო სკოლა, გ. გოგოლაძე — აწყურის საშუალო სკოლა). აღნიშნული სკოლების მე-9, მე-10 კლასების მოსწავლეები ამჟღავნებენ საპროგრამო მასალის საფუძვლიან ცოდნას, აქტიურად მონაწილეობენ თავდაცვით-მასობრივი წრეების მუშაობაში, სასკოლო ღონისძიებებში.

მოსწავლეთა სამხედრო საქმის სწავლების დროს დიდი ყურადღება ეთმობა სამხედროებთან საშეფო მუშაობას. ეწყობა მოსწავლეთა ექსკურსიები სამხედრო ქვეგანყოფილებაში მებრძოლთა ყოფაცხოვრების, სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო ნაწილის ისტორიის გასაცნობად. ტარდება რევოლუციური და საბრძოლო დღესასწაულების აღსანიშნავი ერთობლივი ღონისძიებები.

აღსანიშნავია „ნორჩ მესაზღვრეთა" რაზმების საინტერესო საქმიანობა. რაიონის საზოგადოებრიობასთან, მესაზღვრეებთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობა ყოველდღიურ პრაქტიკულ მონაწილეობას ღებულობს ჩვენი ქვეყნის საზღვრების მტკიცედ დაცვაში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელთა რაიონული მეთოდური გაერთიანება, რომელიც თვეში ორჯერ მუდმივად ატარებს თავის სხდომებს, ამ სხდომებზე ხდება დაწყებითი სამხედრო მომზადების, სამოქალაქო თავდაცვისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის აქტუალური საკითხების პრაქტიკული განხილვა.

პიონერთა და მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული და ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ნაცადი ფორმაა საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშობები „ცისკარი" და „მართვე". მრავალი წლის მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თამაშებში მოზარდთა მონაწილეობა ხელს უწყობს მათში სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულების ფორმირებას, დისციპლინის განმტკიცებას, საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებას. ახალციხის რაიონში აღნიშნული თამაშობების ჩატარების კარგი ტრადიციებია დამკვიდრებული. სისტემატურად ეწყობა „ცისკრისა" და „მართვეს" რაიონული პირველობა, რომელშიც რაიონის თითქმის ყველა სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებულობს მონაწილეობას. რაიონის პირველობაში გამარჯვებული სკოლები სისტემატურად მონაწილეობენ რესპუბლიკური პირველობის ფინალში და, როგორც წესი, საპრიზო ადგილებს იკავებენ.

აქტიურად მონაწილეობენ რაიონის სკოლები სამხედრო-პატრიოტული მუშაობის რესპუბლიკურ და საკავშირო დათვალიერება-კონკურსებში. მიღწეული წარმატებებისათვის ზოგიერთი სკოლა დაჯილდოებულია საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულის საპატიო სიგელით (ახალციხის 1-ლი, მე-2, მე-4, ვალეს 1-ლი საშუალო სკოლები და ახალციხის 1-ლი სკოლა-ინტერნატი). აღნიშნული დათვალიერება-კონკურსის მიმდინარე ეტაპი. ვ. ი. ლენინის დაბადების 110 და ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავს ეძღვნება, რაიონის სკოლები აქტიურად არიან ჩაბმული დათვალიერების ამ ეტაპშიც.

სკოლებში სათანადო ყურადღება ეთმობა მშობლიური მხარის (რაიონის, სოფლის) რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების შესწავლას. მოსწავლეები შეხვედრებს უწყობენ საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერან თანასოფლელებს, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, შრომის მოწინავეებს, ძველ ბოლშევიკებსა და კომკავშირლებს. სკოლებში გაშენებულია გმირთა ხეივნები, შინმოუსვლელთა სტენდები, რაიონის შრომითი მიღწევების დიაგრამები ხუთწლედების მიხედვით და სხვ.

მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესების მიზნით რაიონის სახალხო განათლების განყოფილებასთან შექმნილია სამხედრო-პატრიოტული მუშაობის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი საბჭოთა, კომკავშირული და სახალხო განათლების, კომისარიატისა და დოსააფის მუშაკები. აღნიშნული საბჭოს მუშაობა საშუალებას იძლევა ამაღლდეს ყოველი პედაგოგის შემოქმედებითი საქმიანობა ახალგაზრდობასთან. სისტემატურად ეწყობა საჭირო ხასიათის საუბრები და სემინარები დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელებთან, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორებთან, უფროს პიონერხელმძღვანელებთან. გეგმიურად ხორციელდება დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელთა გაგზავნა კვალიფიკაციის ამაღლებელ კურსებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო საბჭოს სხდომებზე იხილება მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წვევამდელებთან მუშაობას. განათლების განყოფილებას საქმიანი კონტაქტები აქვს დამყარებული სამხედრო კომისარიატთან და დოსააფის რაიონულ კომიტეტთან. ამ ორგანიზაციებს შედგენილი აქვთ ერთობლივი საქმიანობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა, რომლის ძირითადი ნაწილი დღეისათვის განხორციელებულია.

ამასთან ერთად, მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის ახალციხის რაიონის პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა ხასიათდება მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებებით.

პედაგოგიური საბჭოების სხდომების დოკუმენტების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებს რაიონის ზოგიერთ სკოლაში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა. ზოგჯერ სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ცნება გაგებულია, როგორც მხოლოდ დაწყებითი სამხედრო მომზადების სწავლების პროცესი. რიგ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ერთიანი სისტემა, რომელიც კომპლექსურად უნდა აერთიანებდეს მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა სამხედრო-ტექნიკური წრეები, სამხედრო-სპორტული თამაშები, მშთ-ს ნორმატივების ჩაბარება, სამხედრო-პატრიოტული გაერთიანებები და, რასაკვირველია, დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილი. არ ხდება სკოლაში სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობის შესწავლა, არ ისახება საჭირო ღონისძიებები მისი სრულყოფის მიზნით.

პედაგოგთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ მუშაობს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეებში მაღალი მორალური შეგნების, მეცნიერული ცოდნის მტკიცედ დაუფლებას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის გამომუშავებას. არ ზრუნავს სისტემატურად აიმაღლოს პროფესიული ცოდნის დონე. დაბალია მისი პოლიტიკური კრედო. ზოგიერთი პედაგოგი ვერ ახერხებს სწავლების მტკიცედ დაკავშირებას აღზრდასთან, ვერ უმუშავებს მოსწავლეებს ცოდნის დამოუკიდებლად დაუფლებასა და მისი რწმენად გადაქცევის ჩვევას. პროგრამულ

ეროვნული

მასალას ვერ უკავშირებს თანამედროვე მოვლენებს, ვერ იყენებს იმ უდიდეს შესაძლებლობებს, რასაც ცალკეული სასწავლო დისციპლინების პროგრამული მასალა იძლევა.

მოსმენილი გაკვეთილების ანალიზმა ცხადყო, რომ პედაგოგების ერთი ნაწილი ვერ ახერხებს სწავლებაში დასახული მიზნის მიღწევას. არ ზრუნავს აამაღლოს ყოველი გაკვეთილის ხარისხი, სრულყოს საკუთარი ცოდნა, პროფესიული ოსტატობა (ვალეს მე-2 საშუალო სკოლის ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი ოგანესიანი, საყუნეთის 8-წლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბ. ხრიკაძე, ზიკილის საშუალო სკოლის დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელი ნ. კალანდაძე).

რაიონის ზოგიერთ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 15 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის ერთობლივი ბრძანების „წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ ცხოვრებაში განხორციელებას.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რაიონის უფროსკლასელ მოსწავლეთა დიდი ნაწილი სუსტად ფლობს რუსულ ენას; არარუსული სკოლების მოსწავლეებთან გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რომ მათი უმრავლესობა, ვერ ფლობს სიტყვათა საჭირო მარაგს. ვერ ახერხებს საკუთარი აზრის რუსულ ენაზე გადმოცემას. ამითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ რაიონის ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილი ვერ ავლენს სათანადო მზადყოფნას საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის. რუსული ენის ცოდნის გარეშე უჭირს დაეუფლოს რთულ თანამედროვე სამხედრო ტექნიკას.

ზოგიერთ სკოლაში აღრიცხული არ არიან წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები, ნაკლები ყურადღება ეთმობა მათთან ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას და ა. შ.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას რაიონში სამხედრო პროფესიებზე მოსწავლეთა ორიენტაციის საკითხი. მიმდინარე წელს უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში სწავლა უნდა გაეგრძელებინა რაიონის 20 კურსდამთავრებულს, სწავლობს მხოლოდ 2 კურსდამთავრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. ლესელიძის სახელობის სპეციალურ სკოლა-ინტერნატში სწავლის გაგრძელების მსურველთა რიცხვი რაიონში მცირეა. ამ მხრივ დინამიკა უკანასკნელი წლების მიხედვით არამყარია. თუ 1976 წელს აღნიშნულ სასწავლებელში ახალციხის რაიონიდან სწავლა გააგრძელა 5 მოსწავლემ, მომდევნო 1977 წელს არც ერთი მოსწავლე არ ჩარიცხულა. 1978 წელს ამ სასწავლებელში სწავლა გააგრძელა 3-მა მოსწავლემ, ხოლო 1979 წელს ჩაირიცხა მხოლოდ ერთი მოსწავლე, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო, იმავე წელს გავიდა სასწავლებლიდან.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სპეციალური მითითება, სკოლების ხელმძღვანელები დღემდე არ ახდენენ ჩატარებული მასობრივი ღონისძიებების ანალიზს, არ განსაზღვრავენ მათ შედეგებს. ამავე დროს აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების დროს ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. სასკოლო ღონისძიებების მომზადებაში სუსტია მოსწავლეთა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების როლი, ღონისძიებას უმთავრესად ამზადებენ უფროსები, რაც ახშობს მოზარდთა თვითმოქმედებას და ინიციატივას, არ იძლევა სასურველ აღმზრდელობით ეფექტს (ვალეს მე-2, ახალციხის მე-3, ზიკილის საშუალო სკოლები, ახალციხის მე-2 სკოლა-ინტერნატი).

სკოლებში ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე „ნორჩ არმიელთა“ აქტივის სწავლების საქმე. რიგ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სამხედრო-სპორტული თამაშების „ცისკრისა“ და „მართვეს“ შტაბები და ამ თამაშებისათვის რაზმების მზადების მთელი სიმძიმე გადადის დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების საქმიანობაზე, რაც იწვევს აღნიშნული თამაშობებისადმი მოსწავლეთა ინტერესის შენელებას (ახალციხის მე-3, გიორგიწმინდის, ვალეს მე-2 საშუალო სკოლები, ახალციხის მე-2 სკოლა-ინტერნატი).

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სფეროში ჯერ კიდევ არ იყენებენ მაქსიმალურად სასკოლო მუზეუმებს, ოთახებს, გალერეებს, ისინი არ წარმოადგენენ სკოლის ერთიანი სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის განუყოფელ ნაწილს.

რაიონის რიგ სკოლებში მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები ვერ ახერხებენ მოსწავლეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე მოსწავლეთა კომიტეტების საქმიანობა. იგრძნობა პარალელიზმი მოსწავლეთა თვითმმართველობაში (ვალეს მე-2, ახალციხის მე-3 საშუალო სკოლები, ახალციხის მე-2 სკოლა-ინტერნატი).

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები აიხსნება სკოლებში კლასის ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანებების სუსტი, არასისტემატური და ზერელე მუშაობით. მათ სხდომებზე არ განიხილება კლასის ხელმძღვანელთა მუშაობის აქტუალური საკითხები, არ ხდება დადებითი გამოცდილების შესწავლა-განზოგადება. სუსტია კონტროლი და დახმარება სკოლების დირექციის მხრივ.

ხშირ შემთხვევაში სკოლის დირექტორები, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორები ვერ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას მუშაობაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ნაკლებად ზრუნავენ პედაგოგიური კადრების პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის, მათი იდეური წრთობისათვის. არ სწავლობენ სასკოლო ღონისძიებებს, არ ახდენენ მათ პედაგოგიურ ანალიზს, ვერ რაზმავენ სკოლის ყველა მუშაკს საერთო ამოცანების გადაწყვეტისათვის (ვალეს მე-2, ზიკილის საშუალო სკოლები, ახალციხის მე-2 სკოლა-ინტერნატი).

რაიონის სკოლებში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ — განხორციელებისათვის. განათლების განყოფილებას, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ორგანიზაციული მუშაობა აქვს გატარებული სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის სრულყოფისათვის, ჯერ კიდევ სრულად არა აქვს გამოყენებული არსებული შესაძლებლობები. ნაკლები ყურადღება ექცევა სწავლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობის პრინციპის, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადის შემოწმების შედეგები განხილულ იქნა წინასწარ თათბირზე, რომელზეც მოწვეული იყვნენ ახალციხის რაიონის სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელები, პედაგოგიური კოლექტივების წარმომადგენლები. წინასწარი თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის ბიუროს წევრებმა, საქართველოს ალკკ ახალციხის რაიკომის, სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებმა, სამხედრო კომისარიატის, დოსააფის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

### 1979 წლის 27 დეკემბრის

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„1979 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის ერთიანი სრულიად საკავშირო ნიშნით რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა დაჯილდოების შ ე ს ა ხ ე ბ**

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1979 წლის 3 სექტემბრის № 26-6/34 დადგენილების—„1979 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული“ ერთიანი სრულიად საკავშირო ნიშნით დაჯილდოების შესახებ“ — შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს „1979 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული“-ს ერთიანი სრულიად საკავშირო ნიშნების განაწილება ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის (დანართი № 1).

2. „1979 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული“-ს ერთიანი სრულიად საკავშირო ნიშნით სახალხო განათლების მუშაკთა დაჯილდოება ხდება პროფკავშირის სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1977 წლის 8 აპრილს დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელით, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებების, განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სხვა ორგანიზაციების ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტების მიერ.

3. ასსრ განათლების სამინისტროებმა, ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა და განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა აღნიშნული სამკერდე ნიშნებით დასაჯილდოებელ პირთა სიები წარმოადგინონ განათლების სამინისტროში 1980 წლის 10 თებერვლამდე.

4. განათლების სამინისტროსთან არსებულმა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ „1979 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული"-ს სამკერდე ნიშნები შესაბამისი მოწმობებით დამტკიცებული განაწესის მიხედვით გასცეს 1979 წლის 15 თებერვლამდე.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი**

**ო. ქინქლაძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

**დ. იოსელიანი**

დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

| № | რაიონის (ქალაქის) დასახელება | "1979 წლის სოცშეჯიბრში გამარჯვებული"-ს ერთიანი სრულიად საკავშირო ნიშნების რაოდ |
|---|---|---|
| 1. | აფხაზეთის ასსრ | 40 |
| 2. | აჭარის ასსრ | 50 |
| 3. | სამხრეთ-ოსეთის ა/ო | 30 |
| 4. | ქ. თბილისი | 41 |
| 5. | ქ. ქუთაისი | 24 |
| 6. | ქ. ფოთი | 8 |
| 7. | ქ. ჭიათურა | 10 |
| 8. | ქ. რუსთავი | 18 |
| 9. | ქ. გორი | 15 |
| 10. | ქ. ტყიბული | 15 |
| 11. | ქ. ზუგდიდი | 18 |
| 12. | აბაშის რაიონი | 12 |
| 13. | ადიგენის რაიონი | 8 |
| 14. | ამბროლაურის რაიონი | 13 |
| 15. | ასპინძის რაიონი | 9 |
| 16. | ახალქალაქის რაიონი | 10 |
| 17. | ახალციხის რაიონი | 10 |
| 18. | ახმეტის რაიონი | 7 |
| 19. | ბოგდანოვკის რაიონი | 7 |
| 20. | ბოლნისის რაიონი | 6 |
| 21. | ბორჯომის რაიონი | 7 |
| 22. | გარდაბნის რაიონი | 11 |
| 23. | გეგეჭკორის რაიონი | 7 |
| 24. | გორის რაიონი | 11 |
| 25. | გურჯაანის რაიონი | 13 |
| 26. | დმანისის რაიონი | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 27. | დუშეთის რაიონი | 7 |
| 28. | ვანის რაიონი | 12 |
| 29. | ზესტაფონის რაიონი | 11 |
| 30. | ზუგდიდის რაიონი | 13 |
| 31. | თეთრიწყაროს რაიონი | 9 |
| 32. | თელავის რაიონი | 9 |
| 33. | თერჯოლის რაიონი | 9 |
| 34. | თიანეთის რაიონი | 9 |
| 35, | კასპის რაიონი | 9 |
| 36. | ლაგოდეხის რაიონი | 10 |
| 37. | ლანჩხუთის რაიონი | 11 |
| 38. | ლენტეხის რაიონი | 9 |
| 39. | მაიაკოვსკის რაიონი | 10 |
| 40. | მარნეულის რაიონი | 11 |
| 41. | მახარაძის რაიონი | 12 |
| 42. | მესტიის რაიონი | 9 |
| 43. | მცხეთის რაიონი | 10 |
| 44. | ონის რაიონი | 10 |
| 45. | ორჯონიკიძის რაიონი | 11 |
| 46. | საგარეჯოს რაიონი | 11 |
| 47. | სამტრედიის რაიონი | 11 |
| 48. | საჩხერის რაიონი | 9 |
| 49. | სიღნაღის რაიონი | 10 |
| 50. | ქარელის რაიონი | 9 |
| 51. | ყაზბეგის რაიონი | 9 |
| 52. | ყვარლის რაიონი | 10 |
| 53. | ჩოხატაურის რაიონი | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 54. | ჩხოროწყუს რაიონი | 0 |
| 55. | ცაგერის რაიონი | 30 |
| 56. | ცხაკაიას რაიონი | 11 |
| 57. | წალენჯიხის რაიონი | 10 |
| 58. | წალკის რაიონი | 9 |
| 59. | წითელწყაროს რაიონი | 9 |
| 60, | წულუკიძის რაიონი | 10 |
| 61. | წყალტუბოს რაიონი | 11 |
| 62. | ხაშურის რაიონი | 10 |
| 63. | ხობის რაიონი | 11 |

განათლების სამინისტროს აპარატსა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს 50

ს უ ლ: 850

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 29 დეკემბრის ბრძანება № 831

### ქ. თბილისის 1-ლი მაისის, 26 კომისრის რაიონების, ქ. ქ. ბათუმისა და ცხინვალის სანატორიულ და სადღეღამისო სკოლამდელ დაწესებულებებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 7 ივნისის კოლეგიის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

შემოწმებამ ცხადყო, რომ უკანასკნელ წლებში გარკვეული ღონისძიებები ტარდება სანატორიულ და სადღეღამისო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. სკოლამდელი დაწესებულებები ხელმძღვანელობენ რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით „ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის № 1 სანატორიული ბაგა-ბაღის მუშაობაში გამოვლენილ უხეშ დარღვევათა შესახებ", განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება-სრულყოფას. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის № 2 სადღეღამისო საბავშვო ბაღი (გამგე მ. გობეჯიშვილი) დაკომპლექტებულია გამოცდილი პედაგოგიური კადრით, რომელიც პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ამ საბავშვო ბაღში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია მეთოდური კაბინეტი, ბიბლიოთეკა საბავშვო ლიტერატურისათვის. ბავშვთა პირადი და საერთო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთი სადღეღამისო რეჟიმით მომუშავე სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელებმა და მუშაკებმა სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს აღნიშნული გადაწყვეტილებიდან. ქ. თბილისის 1-ლი მაისის რაიონის № 1 სადღეღამისო საბავშვო ბაღში გამგის ე. გრძელიშვილისა და პედაგოგიური პერსონალის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად მოუწესრიგებელია ბავშვთა ცხოვრების ორგანიზაცია; ბავშვებს არ აქვთ პირადი მოხმარების საგნები (სავარცხელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კბილის ჯაგრისი, ცხვირსახოცი, ფეხის გასამშრალებელი და სხვ.) მოუწესრიგებელია, აგრეთვე, მათი ტანსაცმლის ინდივიდუალურად შენახვის საკითხი. ანალოგიური მდგომარეობაა ბათუმის სანატორიულ ბაგა-ბაღში (გამგე თ. თოხაძე). ამ ბაგა-ბაღში მოუგვარებელია ძილის საკითხი, ბავშვებს ღამის პერანგების გარეშე, რეიტუზებითა და სპორტული ტანსაცმლით, აძინებენ.

თბილისის 1-ლი მაისის № 1 სადღეღამისო საბავშვო ბაღის აღმზრდელები ა. კიზირია, ს. ფხაკაძე სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პედაგოგიური გარემოს შექმნას. ჯგუფში არ არის მოწყობილი ბუნებისა და წიგნების კუთხეები, არ აქვთ სიუჟეტურ-როლებიანი თამაშისათვის საჭირო ატრიბუტები. ბავშვები უმოქმედოდ არიან, არ შესწევთ უნარი გაშალონ შემოქმედებითი თამაში. ეს აღმზრდელები არ ზრუნავენ სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის. ჯგუფებში არასაკმაო რაოდენობითაა თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალა. დიდაქტიკური მასალა აკლიათ აგრეთვე ბათუმის სანატორიულ საბავშვო ბაღსა და ცხინვალის ქარხანა „ემალმავთულის" ბაგა-ბაღს.

თბილისის № 1 სადღეღამისო საბავშვო ბაღში აღმზრდელთა მეტი ნაწილი პრაქტიკულად არ არის დაუფლებული ყოველდღიური მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საქმეს. სწორად ვერ იგეგმება მეცადინეობის პროგრამული შინაარსი, არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური მუშაობა ბავშვებთან, მათი ასაკობრივი შესაძლებლობანი, რის გამოც რუსული ჯგუფის 5-6 წლის ასაკის 15 ბავშვი ვერ ითვისებს ამ ასაკისათვის პროგრამით გათვალისწინებულ მასალას. ამ საბავშვო ბაღში სათანადო ყურადღება არ ექცევა ბავშვებში ზნეობრივი თვისებების დანერგვასა და ჩამოყალიბებას, მათ შორის მეგობრული, გულთბილი დამოკიდებულების აღზრდას. ნაკლოვანებანი შეინიშნება ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში, ბევრ მათგანს არ აქვს ჭამის კულტურა. სანჰიგიენური ჩვევები არ აქვთ გამომუშავებული ცხინვალის სანატორიული ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს.

თბილისის № 1 სადღეღამისო საბავშვო ბაღის გამგე ვ. გრძელიშვილი სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ მუშაობაზე. სისტემატურად არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოწმებს მეცადინეობების ჩატარების დონეს და სათანადოდ ვერ აანალიზებს მათ.

ბათუმის სანატორიულ საბავშვო ბაღში არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 24 მარტის № 261/146-ო ბრძანება „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და სამედიცინო დახმარების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ამ ბაგა-ბაღში ფიზკულტურული მეცადინეობები ტარდება ჯგუფებში, შევიწროვებულ პირობებში, მუსიკის დარბაზი არ გამოიყენება ამ დანიშნულებისათვის. აკლიათ სპორტული ინვენტარი.

ცხინვალის სანატორიულ ბაგა-ბაღში ირღვევა ბავშვთა მიღება-ჩარიცხვის დადგენილი წესი, რის გამოც წელს ჩარიცხული 40 ბავშვიდან 14 არ ექვემდებარება სანატორიული რეჟიმის ბაგა-ბაღს. ცხინვალის სანატორიულ ბაგა-ბაღში ავადმყოფობის შემთხვევაში ბავშვებს ოჯახში აბრუნებენ, რაც დაუშვებელია და კიდევ უფრო ამწვავებს მათ ჯანმრთელობას.

განათლების განყოფილებებმა, რომელთა უწყებაში შედიან სანატორიული და სადღეღამისო სკოლამდელი დაწესებულებები, ზერელედ განიხილეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღნიშნული გადაწყვეტილება და ვერ გაატარეს კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ზოგიერთი მათგანი არ ითვალისწინებს ამ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის სპეციფიკას, არ უქმნის ბავშვებს ცხოვრების ნორმალურ პირობებს. მაგალითად, ცხინვალის სანატორიულ ბაგა-ბაღში შესაცვლელია დგამ-ავეჯი, არ აქვთ შესაფერისი ჭურჭელი. ამ ბაგა-ბაღში 4 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა კაპიტალური, ხოლო 2 წლის განმავლობაში მიმდინარე რემონტი. ბათუმის სანატორიულ საბავშვო ბაღში კეთილმოუწყობელია პროდუქტების შესანახი საწყობი. ძალზე სუსტია 1-ლი მაისის რაიონის № 1 სადღეღამისო საბავშვო ბაღის მატერიალური ბაზა.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებებში დაბალ დონეზე მიმდინარეობს საკავშირო დათვალიერება „ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და დაავადებათა შემცირების შესახებ". დაავადებათა შემთხვევებს აქვს ადგილი ქ. თბილისის 26 კო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისრის რაიონის №2 სადღეღამისო საბავშვო ბაღში. ბავშვთა სამედიცინო დოკუმენტაცია მოუწესრიგებელია ბათუმის სანატორიულ საბავშვო ბაღში.

რესპუბლიკის სანატორიული და სადღეღამისო რეჟიმით მომუშავე სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებები, რომელთა დაქვემდებარებაში სანატორიული, სადღეღამისო სკოლამდელი დაწესებულებები ან ამ რეჟიმით მომუშავე ჯგუფები იმყოფებიან გაფრთხილდნენ:

— გადაჭრით გააძლიერონ კონტროლი, დახმარება და გაზარდონ მომთხოვნელობა მათ მიმართ. პერიოდულად შეამოწმონ აღსაზრდელთა საცხოვრებელი პირობები, პირადი ჰიგიენა, კვება, დღის რეჟიმის შესრულება და მკაცრად მოთხოვონ პასუხი იმ მუშაკებს, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან ბავშვთა სწავლა-აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს;

— გააუმჯობესონ მეთოდური დახმარება, კონსულტაციებისა და სემინარების ჩატარების გზით აღმოფხვრან ამ მიმართებით არსებული ხარვეზები;

— ბავშვებს შეუქმნან ცხოვრების ნორმალური პირობები, იზრუნონ პირველ რიგში ამ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის (რემონტების ჩატარება, დგამ-ავეჯით, რბილი ინვენტარით, ჭურჭლით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით მომარაგება);

— ეს ბრძანება და შემოწმების მასალები პრინციპულად განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და მიიღონ მკაცრი ადმინისტრაციული ზომები იმ მუშაკთა მიმართ, რომელთა უპასუხისმგებლო მუშაობის შესახებ აღნიშნული იყო ამ ბრძანებაში.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

— აამაღლონ პირადი და თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა. ბავშვებს შეუქმნან მყუდრო მოწესრიგებული გარემო. იზრუნონ მათ შორის თბილი მეგობრული დამოკიდებულების აღზრდისა და კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების გამომუშავებისათვის;

— მიიღონ ზომები „აღზრდის პროგრამის“, სკოლამდელი აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდის საკითხებზე მეთოდური ლიტერატურისა და რეკომენდაციების პრაქტიკულად განხორციელების, მოწინავე მუშაკთა გამოცდილების განზოგადების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებისა და სკოლისათვის ბავშვთა უკეთ მომზადებისათვის;

— მჭიდრო საქმიანი კონტაქტი დაამყარონ მშობლებთან, მოახდინონ მათი პედაგოგიზაცია და აქტიურად ჩააბან ისინი საბავშვო ბაღის მუშაობაში;

— ყოველდღიურ საქმიანობაში იხელმძღვანელონ საკავშირო დათვალიერების დებულებით „ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა შემცირების შესახებ“, ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან დაამყარონ მჭიდრო კონტაქტი და უზრუნველყონ ბავშვთა დაავადებიანობის მინიმუმამდე შემცირება. აკრძალონ ავადმყოფი ბავშვების ოჯახში გაგზავნა და ადგილზე მიიღონ ზომები მათი გამოჯანმრთელებისათვის.

3. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა 1980 წლის განმავლობაში ქ. ქ. თბილისის, ბათუმისა და ცხინვალის სანატორიულ და სადღეღამისო სკოლამდელ დაწესებულებებში ჩაატაროს სემინარული მუშაობა „აღზრდის პროგრამის“ ყველა განაყოფის მიხედვით.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) 1980 წლისათვის აუმაღლოს კვალიფიკაცია სანატორიული და სადღეღამისო რეჟიმით მომუშავე სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებს, ხოლო ქ. ქ. თბილისის, ბათუმისა და ცხინვალის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა — ამ დაწესებულებათა პედაგოგიურ პერსონალს.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) პირველ რიგში გაითვალისწინოს სადღეღამისო და სანატორიული რეჟიმით მომუშავე სკოლამდელი დაწესებულებების მომარაგება საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით, მათი განაცხადების მიხედვით.

6. ქ. თბილისის 1-ლი მაისის რაიონის № 1 სადღეღამისო საბავშვო ბაღის გამგე ე. გრძელიშვილი, ბათუმის სანატორიული საბავშვო ბაღის გამგე თ. თოხაძე, ცხინვალის სანატორიული საბავშვო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაღის გამგე ა. ჯიოევა დაშვებული დარღვევებისათვის იმსახურებენ სამუშაოდან გათავისუფლებას, მაგრამ ვითვალისწინებ რა, რომ შემოწმების პერიოდშივე გამოსწორდა ზოგიერთი ნაკლი, მკაცრად ვაფრთხილებ რადიკალურად გარდაქმნან მუშაობა. 1980 წლის 25 მაისამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინფორმაცია მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

7. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს (ამხ. გ. აბდუშელიშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 27 დეკემბრის კოლეგიის გადაწყვეტილება.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1980 წლის 24 იანვრის ერთობლივი

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და დაწესებულებებში 1980 წელს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შ ე ს ა ხ ე ბ

„წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 30 დეკემბრის № 1081 დადგენილების და ამავე საკითხზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1978 წლის 23 ივნისის № 23/2 დადგენილების შესაბამისად, იმ მიზნით, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური შეჯიბრების შესაძლებლობანი სახალხო განათლების მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის შემდგომი ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. გაიშალოს სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების, სკოლამდელი, სკოლისგარეშე დაწესებულებების, მასწავლებელთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დახელოვნების ინსტიტუტების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება პედაგოგიური კოლექტივების შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის და მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

2. ძალაში დარჩეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1979 წლის 23-25 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული სახალხო განათლების განყოფილებათა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს (ცვლიანი) სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები (დანართი № 1 და № 2).

3. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდეს:

ა) სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის 10 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომითა და პირველი ფულადი პრემიით — (მომუშავეთა პრემირებისათვის) აქედან: ქ. თბილისის რაიონებისათვის — 1, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებისათვის თითო გარდამავალი წითელი დროშა დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 87 დიპლომი და პირველი ფულადი პრემია — (რაიონებიდან და ქალაქებიდან თითო სკოლა — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის რაიონებისა და ქალაქების სკოლების ჩათვლით);

გ) სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომი და პირველი ფულადი პრემია და სამინისტროსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რესპუბლიკური კომიტეტის ერთი დიპლომი პირველი ფულადი პრემიით;

დ) საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების დასაჯილდოებლად ერთი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომი და პირველი ფულადი პრემია;

ე) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომი და პირველი ფულადი პრემია, და სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი დიპლომი პირველი ფულადი პრემიით;

ვ) სკოლისგარეშე დაწესებულებების დასაჯილდოებლად — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომი და პირველი ფულადი პრემია;

ზ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომი და პირველი ფულადი პრემია, აქედან ერთი ქალაქებისათვის, ერთი რაიონებისათვის.

ადრე დამტკიცებული პირობების შესაბამისად გაგრძელდეს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის.

— რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად ფულადი პრემიის ოდენობა განისაზღვრება ამ დადგენილების № 3 დანართის მიხედვით.

— ფულადი პრემიები გაიცემა იმ სახსრების ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1977 წლის 5 ივლისის № 604 დადგენილებით (დანართი № 4-ის მიხედვით).

4. ცნობად იქნას მიღებული, რომ რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან წარმოდგენილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სკოლებიდან ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა დაჯილდოვდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და დიპლომით.

5. განათლების განყოფილებებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სკოლის მოწინავე მუშაკს აღმასკომის მიერ განყოფილებისათვის გამოყოფილი ფონდიდან გამოუყონ მსუბუქი ავტომანქანა ნაღდ ანგარიშზე შესაძენად.

6. დამტკიცდეს მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია (დანართი № 5).

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა (სამმართველოებმა), პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა:

7.1. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის შექმნან რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომისიები და ყოველმხრივი პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ მათ მუშაობაში.

7.2. გააცნონ ყველა სკოლის, სკოლა-ინტერნატის, საბავშვო დაწესებულების, საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები., თვითეული რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებამ (სამმართველომ), მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა, სკოლამ, სკოლა-ინტერნატმა, სკოლამდელმა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებამ, შეფი ორგანიზაციების მონაწილეობით 1980 წლისათვის აიღონ სოციალისტური ვალდებულებანი.

7.3. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი (საქალაქო და რაიონული) ვალდებულებები, სოცშეჯიბრში გამოწვეული რაიონის (ქალაქის) ჩვენებით, წარმოუდგინონ სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ა/წ 1-ლ მარტამდე.

7.4. საფუძვლიანად გააანალიზონ 1979—1980 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობა და ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა 1980 წელს შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად. მიაღწიონ სახალხო განათლების ყველა რგოლში აღებულ ვალდებულებათა განუხრელ შესრულებას, რისთვისაც ამ საქმეში აქტიურად ჩააბან სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივები, შეფი ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი საზოგადოებრიობა.

7.5. სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხები პერიოდულად განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ერთობლივ სხდომებზე, ყურადღება მიაქციონ სოციალისტური შეჯიბრების თვალსაჩინოებასა და საჯაროობას;

7.6. გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ადგილებზე დააჯამონ ასს რესპუბლიკებში, ა/ოლქში, ქ. თბილისში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონებში ა/წლის 30 სექტემბრამდე, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს მასალები წარმოუდგინონ არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა.

7.7. დაწესდეს, რომ რაიონებიდან და ქალაქებიდან წარმოდგენილი მასალების მიხედვით სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კომისიის მდივანს საჭირო მასალებს და წინადადებებს წარუდგენენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი სამმართველოები

და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტმა უგვიანეს 25 ოქტომბრისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ:

ა) სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად გაუგზავნოს რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს სოციალისტური შეჯიბრების შესახებ წარმოსადგენი ცნობების ფორმა, შეიმუშაოს სკოლებისათვის, სკოლა-ინტერნატებისათვის, საღამოს სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის ანალოგიური ცნობების ფორმა და უზრუნველყოს მათი ადგილებზე დაგზავნა მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე;

ბ) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, პერიოდულად მოისმინოს ინფორმაციები ადგილებიდან და საჭიროების შემთხვევაში საკითხი შეიტანოს კოლეგიასა და პრეზიდიუმზე განსახილველად;

გ) 1980 წლის 10 ნოემბრამდე დააჯამოს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და განსახილველად წარუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს.

9. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. თ. ჩიტაძე) ბიუჯეტში გაითვალისწინოს საჭირო თანხები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს (ცვლიანი) სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების კოლექტივების ფულადი პრემიით დაჯილდოებისათვის.

10. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) გამოაქვეყნოს ეს დადგენილება და შემდგომში პერიოდულად გააშუქოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

11. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ა. ქორქოლაძე).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
Ო. Დ. ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
Დ. Მ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 1

დამტკიცებულია საქართველოს სსრ გა-
ნათლების სამინისტროს კოლეგიისა და
პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტე-
ტის პრეზიდიუმის 1979 წლის 23-25 იან-
რის გადაწყვეტილებით

**რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებს შორის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირობები**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აწყობენ რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებების რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებას პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები, მათში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების კოლექტივები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია, სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების კოლექტივების, პროფკავშირული ორგანიზაციების, საწარმოო კოლექტივების, ფართო საზოგადოებრიობის აქტივიზაცია საყოველთაო საშუალო განათლების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალუ-

რი კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის და „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესაბამისად.

### 1. სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები, რომლებიც უფრო მაღალ შედეგებს მიაღწევენ შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

— საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, ახალგაზრდობის ჩაბმა ყველა ფორმის საშუალო განათლებაში;

— სკოლებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთა, სკოლამდელი დაწესებულებების კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება;

— საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაკომპლექტების გეგმის შესრულება;

— სახელმწიფო კაპდაბანდებათა ხარჯზე სკოლების, ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მშენებლობის გეგმის შესრულება;

— სასკოლო შენობების, საკლასო და ჯგუფის ოთახების მიშენების, სასწავლო კაბინეტების, სასპორტო და სააქტო დარბაზების, სასადილოებისა და სათავსოების მშენებლობა;

— განათლების ყველა დაწესებულებაში მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდისათვის პირობების გაუმჯობესება; სასწავლო კაბინეტების შექმნა, სასწავლო მოწყობილობითა და სასწავლო-თვალსაჩინოებით აღჭურვა და მათი ეფექტიანად გამოყენება; სახელმძღვანელოების, სამეცნიერო-მეთოდური და მხატვრული ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა;

— მოსწავლეთა შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის, კომკავშირული ორგანიზაციებისა და პიონერული საქმიანობის გაუმჯობესება;

— მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, პროფორიენ-

ტაციისა და ტექნიკური შემოქმედების ორგანიზაცია; სასკოლო სახელოსნოების, ავტოსაქმის, შრომის მომსახურების კაბინეტების და სხვათა მოწყობა, მოსწავლეთა ჩაბმა სხვადასხვა შრომით გაერთიანებებში;

— ქალაქის სკოლების უფროსკლასელთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმის ორგანიზაცია;

— სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით მატერიალური წარმოების სფეროში, ყველა იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულთა მუშაობაში ჩაბმა, რომლებიც სწავლას არ აგრძელებენ;

— სკოლისგარეშე დაწესებულებების რიცხვის ზრდა, რომელთაც წრეები და მოსწავლეთა სხვა გაერთიანებები აქვთ ტერიტორიის ეკონომიკური პროფილის გათვალისწინებით;

— სკოლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბავშვებთან გამაჯანსაღებელი მუშაობის და ზაფხულის პერიოდში მოსწავლეთა დასვენების ორგანიზაცია;

— სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური და ხელმძღვანელი კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, მასწავლებლების, აღმზრდელების, ტექნიკური და სხვა წრეების ხელმძღვანელთა, მეთოდისტების, მწვრთნელ-მასწავლებელთა, მუსიკალურ ხელმძღვანელთა და სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შესრულება და მისი ხარისხის გაუმჯობესება;

— სკოლების, ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის კაპიტალური რემონტის ჩატარება;

— პროფტექნიკურ სასწავლებლებში მე-9 კლასის მოსწავლეთა გეგმის შესრულების მდგომარეობა;

— განათლების დაწესებულებებში შრომის დაცვისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის მდგომარეობა;

— მცირეწლოვანთა სამართალდარღვევების შემცირება;

— სახალხო განათლების ღონისძიებებზე ასიგნებული თანხების შესრულება.

**II. შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისება**

მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, მეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების და მათში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 10 გარდამავალი წითელი დროშა დიპლომებით და პირველი ფულადი პრემიით. აქედან: ქ. თბილისის რაიონებისათვის — 1, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქებისათვის თითო გარდამავალი წითელი დროშა დიპლომებით და პირველი ფულადი პრემიით.

ასევე მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რესპუბლიკის ერთი საქალაქო განათლების განყოფილება და სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ორი რაიონის განათლების განყოფილება ჯილდოვდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, დიპლომითა და ფულადი პრემიით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ სახალხო განათლების განყოფილებებისათვის გარდამავალი წითელი დროშებისა და დიპლომების გადაცემა ხდება საზეიმო ვითარებაში აქტივებზე, მასწავლებელთა საქალაქო და რაიონულ კონფერენციებზე და აღმასკომების სესიებზე, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა მიერ.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედვით პრემიით ჯილდოვდებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების, აგრეთვე სხვა მუშაკები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში, გახათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში.

ფულადი პრემიები განისაზღვრება სსრკ შრომის სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1978 წლის 9 მარტის № 70-34-20 დადგენილების შესაბამისად.

შეჯიბრებაში წარჩინებულ მუშაკთა ინდივიდუალური პრემირებისათვის სახალხო განათლების განყოფილებები და პროფკავშირის კომიტეტები გასცემენ დარიცხულ პრემიას 2.000 მანეთამდე — 100%-ით, ხოლო 2.000 მანეთს ზევით 70%-მდე. პრემიის დანარჩენი თანხა მოხმარდება სახალხო განათლების მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. ერთი მუშაკის პრემიის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს მისი თვიური განაკვეთის (სარგოს) 10%-ზე ნაკლები.

ფულადი პრემიის გაცემა ხდება სახსრების ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია სსრკ მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1977 წლის 5 ივლისის № 604 დადგენილების № 4 დანართის მიხედვით.

— სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილებებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფონდიდან გამოეყოფა თითო მსუბუქი ავტომანქანა ინდივიდუალურ პირთათვის ნაღდ ანგარიშზე შესასყიდად;

— სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების წარმომადგენელი, მასალების შესაბამისად, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისა და ქალაქების განათლების ორგანოების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, საღამოს სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების წარმომადგენლები და სხვა მუშაკები, პროფკავშირული აქტივი, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე საწარმოების,

დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები, რომლებმაც ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, საღამოს სკოლებს, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში — ჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით და „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1979 წლის 23-25 იანვრის გადაწყვეტილებით

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებს, საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ სკოლებს, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე დაწესებულებებსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებს შორის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის და მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირობები**

**I. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის**

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კოლექტივების, პროფკავშირის კომიტეტების, საწარმოო კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ფართო საზოგადოებრიობის აქტივიზაცია სკკპ 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებების შუქზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 7 სექტემბერს № 85 ბრძანების „სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შესახებ“ სრულყოფილად განხორციელებისათვის.

**სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები**

— სკოლის შენობის მოვლა-პატრონობა, კაპიტალური და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარება, სკოლის ზამთრისათვის მზადყოფნა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა.

— საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულება, სასკოლო ინტერნატის არსებობა, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ორგანიზაცია, ბავშვთა ტრანსპორტით მიმოსვლა სკოლაში, ცხელი კერძებით კვების ორგანიზაცია, მეორე ცვლაში მომეცადინე მოსწავლეთა რიცხვის შემცირება, ავადმყოფი ბავშვების ბინაზე მეცადინეობა, სკოლის მიკრორაიონში მცხოვრები ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვების სპეციალურ სკოლა-ინტერნატში ჩაბმა;

— ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების უზრუნველყოფა, რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეთა მეცხრე კლასებში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ დაწესებულებებში ჩაბმა, პროფორიენტაციული მუშაობა, პროფორიენტაციის კაბინეტის ან კუთხის არსებობა;

— სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა, სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებით აღჭურვა, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა, სასწავლო-საცდელი ნაკვეთის მდგომარეობა;

— სკოლის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა;

— ოლიმპიადებში, შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, ფაკულტატური და გაღრმავებული სწავლების ეფექტური გამოყენება, ტექნიკური შემოქმედებისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკული მუშაობის ორგანიზაცია, მილიციის ბავშვთა ოთახებში აღრიცხვაზე აყვანილ მოსწავლეთა რაოდენობისა და სამართალდარღვევის ფაქტების სიმცირე, სკოლის საბიბლიოთეკო ფონდის მდგომარეობა;

— მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, შრომითი აქტიურობა, მოსწავლეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ სასარგებლო და საწარმოო შრომაში, საზაფხულო პრაქტიკული სამუშაოების ორგანიზაცია, შეფებთან თანამშრომლობა;

— ფიზიკური და სამხედრო-სპორტული მომზადების დონე და მასიურობა, მშთ-ს კომპლექსის ნორმების ჩაბარება, მონაწილეობა

შეჯიბრებებში, ლაშქრობებსა და სამხედრო-სპორტულ ღონისძიებებში;

— პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ეფექტურობა, მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა, აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში ჩატარებული მუშაობა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პერსპექტიული გეგმის შესრულება, მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა, სოფლის მასწავლებლებისათვის კანონმდებლობით არსებული შეღავათების უზრუნველყოფა;

— მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, მათი ინტერესების დაცვის საქმეში ჩატარებული მუშაობა, სამედიცინო შემოწმების განხორციელება. ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების წესების დაცვა, უბედური შემთხვევების აცილების მიზნით მიღებული ზომების გატარება, მოსწავლეთა მშობლებთან მუშაობა, სკოლის როლი რაიონში, როგორც ბავშვთა აღზრდის მაორგანიზებელი ცენტრისა.

### II. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების (სკოლების) სოციალისტური შეჯიბრების პირობები

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები და სპეცსკოლა-ინტერნატები (სკოლები).

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია განათლების დარგში სკკპ 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების პედაგოგიური კოლექტივებისა და მომსახურე პერსონალის დარაზმვა, მათი მუშაობის გაძლიერება სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 17 იანვრის № 50 და 1977 წლის 1 დეკემბრის № 1040 დადგენილებების ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სკოლის შენობის მოვლა-პატრონობა, საკლასო და საწოლი ოთახების, დერეფნებისა და რეკრიაციების გაფორმება, კაპიტალური და მიმდინარე რემონტებისა და სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარება. სკოლის ზამთრისათვის მზადყოფნა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა;

— ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების უზრუნველყოფა, მოსწავლეებთან პროფორიენტაციული მუშაობის ჩატარება, პროფორიენტაციის კაბინეტის ან კუთხის მოწყობა;

— სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა, სასწავლო კაბინეტებისა და სასწავლო სახელოსნოების აღჭურვა ხელსაწყო-იარაღებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა, სასწავლო-საცდელი ნაკვეთის, დამხმარე მეურნეობების მდგომარეობა;

— სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების (სკოლების), ეზოების კეთილმოწყობა, მწვანე ნარგავების გეგმიანად გაშენება, მათი გახარება და აგროტექნიკური წესების სისტემატური გატარება;

— სანიტარული კვანძების, ცენტრალური გათბობის სისტემის, წყალსადენ-კანალიზაციისა და ელექტროგაყვანილობის სრულ წესრიგში დაცვა;

— ინტერნატული ტიპის დაწესებულებებში აღსაზრდელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მდგომარეობა;

— ოლიმპიადებში, შემოქმედებით კონფერენციებში, მხატვრულ თვითმოქმედებაში, სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატებები, ფაკულტატიური და გაღრმავებული სწავლების ეფექტური გამოყენება, ტექნიკური შემოქმედებისა და სასკოლო-სამეცნიერო პრაქტიკული მუშაობის ორგანიზაცია, მილიციის ბავშვთა ოთახებში აღრიცხვაზე აყვანილ მოსწავლეთა რაოდენობისა და სამართალდარღვევის ფაქტების სიმცირე, საბიბლიოთეკო ფონდის მდგომარეობა;

— მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, მოსწავლეთა მონაწილეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა საზოგადოებრივად სასარგებლო და საწარმოო შრომაში, საზაფხულო პრაქტიკული სამუშაოების ორგანიზაცია, შეფებთან თანამშრომლობა;

— ფიზიკური და სამხედრო-სპორტული მომზადების დონე და მასობრიობა, მშთ-ს კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, მონაწილეობა შეჯიბრებაში, ლაშქრობებსა და სამხედრო-სპორტულ ღონისძიებებში;

— პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ეფექტურობა, მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა, აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებული მუშაობა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული პედაგოგიური კურსების მუშაობაში აღმზრდელებისა და მასწავლებლების გეგმიურად ჩაბმა, მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა, სოფლის მასწავლებლების კანონმდებლობით არსებული შეღავათებით უზრუნველყოფა;

— მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, მათი ინტერესების დაცვის მიზნით ჩატარებული მუშაობა, სამედიცინო შემოწმების განხორციელება, ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების წესების დაცვა, უბედური შემთხვევების აცილების მიზნით ზომების გატარება.

## III. საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია საღამოს და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კოლექტივების, პროფკავშირის კომიტეტების საწარმოო კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების აქტივიზაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1976 წლის 6 აპრილის დადგენილების „რესპუბლიკაში მომუშავე ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ განუხრელად განხორციელების საქმეში.

### სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

— 16-29 წლის ასაკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების უზრუნველყოფა;

— შრომასთან სწავლის შეთავსების პირობების შექმნა. ამ მიზნით სწავლების რეჟიმის და ფორმების სრულყოფა, სწავლების ეფექტურობისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება, მეორეწლიანობის შემცირება, შინასასკოლო კონტროლის მდგომარეობა, მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულება;

— სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა შენარჩუნება სწავლის დამთავრებამდე, განთესვის აღმოფხვრა, მერვე და მეთერთმეტე კლასების დამთავრება;

— გაკვეთილების გაცდენის და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა;

— სკოლის შენობის და ეზოს გაფართოება და მოვლა-პატრონობა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ხარისხიანად და დროულად ჩატარება, ზამთრისათვის მომზადება, სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვა;

— სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა, სასწავლო კაბინეტების აღჭურვა სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო მასალით. მოსწავლეთა მომარაგება სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით, უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების დაცვა;

— მოსწავლეთა ტრანსპორტით გადაყვანის უზრუნველყოფა, კვების ორგანიზაცია;

— იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, სასკოლო თვითმმართველობის მუშაობის ორგანიზაცია, სამართალდარღვევის შემთხვევების აღკვეთა, სკოლის საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა; საწარმოებთან და მშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებთან ურთიერთობა, ერთობლივი ღონისძიებები, მომუშავე მოსწავლეთა მატერიალური და მორალური სტიმულირება;

— მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; სოფლის მასწავლებლებისათვის კანონმდებლობით არსებული შეღავათების უზრუნველყოფა;

— სასკოლო დოკუმენტაცია და გეგმიანობა.

## IV. სკოლამდელ დაწესებულებებს შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლამდელი დაწესებულებები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია რესპუბლიკაში სკოლამდელი აღზრდის სრულყოფის საქმეში სკოლამდელ დაწესებულებათა კოლექტივების, პროფკავშირის კომიტეტების, საწარმოო კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ფართო საზოგადოებრიობის აქტივიზაცია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და სსრ კავშირის განათლების და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1975 წლის 29 აგვისტოს № 117/795 ერთობლივი ბრძანების „სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდის, ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა შემცირების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სრულყოფილად განხორციელებისათვის.

### სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

— სკოლამდელი დაწესებულებების შენობების მოვლა-პატრონობა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტებისა და სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარება;

— ეზოების კეთილმოწყობა, გამწვანება, სპორტული იარაღების, სათამაშო დანადგარების შეძენა-დამონტაჟება და მათი მიზნობრივად გამოყენება;

— სკოლამდელი დაწესებულებების უზრუნველყოფა დგამ-ავეჯით, სასწავლო ნივთებით, სათამაშოებით;

— შიდამეთოდური კაბინეტების მოწყობა, თვალსაჩინო და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფა და მათი გამოყენება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის;

— ბავშვის სკოლისათვის მომზადების მიზნით სკოლასთან ერთად გატარებული ღონისძიებები (პედსაბჭოს სხდომებზე, სემინარებზე, პედაგოგიურ კითხვებსა და აგვისტოს თათბირებზე წაკითხული მოხსენებების თემატიკა) და მათი შედეგები;

— „აღზრდის პროგრამის" რეალიზაცია, ბავშვთა გონებრივი, ფიზიკური, ესთეტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის მდგომარეობა სკოლამდელ დაწესებულებებში;

— თამაშის ორგანიზაცია, თვითნაკეთი სათამაშოების დამზადება და მათი გამოყენება;

— დღის რეჟიმის დაცვა;

— ბავშვთა კვების სწორი ორგანიზაცია;

— ბავშვთა გაჯანსაღებისათვის გატარებული ღონისძიებები (საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შედეგები);

— ბავშვ-დღეთა გეგმის შესრულება;

— სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;

— სამედიცინო მომსახურების ხარისხი, დაავადებათა შემცირების მდგომარეობა სკოლამდელ დაწესებულებებში;

— აღმზრდელთა პედაგოგიური კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური მომზადების მიზნით გატარებული ღონისძიებები (კურსები, სემინარები, თვითგანათლება);

— მშობლებთან მუშაობის მდგომარეობა;

— შრომის უსაფრთხოების მდგომარეობა; ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.

## V. რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებებს შორის სოციალისტური შეჯიბრების პირობები

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლისგარეშე დაწესებულებები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის ყოველმხრივი სრულყოფა, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში მათი როლის ამაღლება, სკოლის, კომკავშირის, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების შუქზე სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, მოსწავლეთა კომიტეტების მუშაობის გაძლიერება.

### სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

სკოლისგარეშე დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება;

— სკოლისგარეშე დაწესებულებების ორგანიზაციულ-მასობრივი, საინსტრუქციო-მეთოდური; წრეობრივი და საკლუბო მუშაობის დონის ამაღლება. ბავშვებთან და მოზარდებთან კლასგარეშე მუშაობის ყველა ფორმის შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება. მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ აღზრდაში სკოლისგარეშე დაწესებულებათა კოლექტივების როლის გაძლიერება;

— სკოლისგარეშე დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობა მოსწავლეთა ღრმა და მყარი ცოდნისათვის ბრძოლაში. მოსწავლეთა ინიციატივისა და თვითშემოქმედებისადმი სწრაფვის გასაღვივებლად საწრეო, საკლუბო და მასობრივი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გამოყენება;

— კომკავშირის კომიტეტებთან, პიონერთა ორგანიზაციის საბჭოებთან, წარმოებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების კოლექტივებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან სკოლისგარეშე დაწესებულებების ურთიერთკავშირის განმტკიცება;

— წრეების, კლუბებისა და სექციების მეცადინეობებში იმ ბავშვთა და მოზარდთა ჩაბმა, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ პედაგოგიურ ყურადღებას;

— სკოლისგარეშე დაწესებულებათა საინსტრუქციო-მეთოდური მუშაობის დონის ამაღლება; სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი დახმარების გაწევა საკავშირო ლენინური ჩათვლების, საკავშირო პიონერული მარშის — „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები“, საკავშირო სპორტული კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“, საკავშირო ექსპედიციის — „სსრკ ჩემი სამშობლოა“ პროგრამის შესრულებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვადასხვა კატეგორიის პიონერულ აქტივთან მუშაობის სისტემისა და შინაარსის სრულყოფა;

— მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, წრეებში, კლუბებსა და სექციებში უფროსკლასელთა ჩაბმა, უფროსკლასელთა, სტუდენტთა და წარმოებაში დასაქმებულ კომკავშირელთა რიგებიდან საზოგადოებრივი ინსტრუქტორების გამოყოფა, მათი მომზადება და ფართოდ გამოყენება;

— მუშაობის დაუსწრებელი ფორმების განვითარება;

— მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის გაუმჯობესება;

— სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობა საზაფხულო ბანაკების ორგანიზაციაში;

— სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობა მასობრივი ღონისძიებების, შეკრებების, ზეიმების, დათვალიერებების, ფესტივალების, ოლიმპიადების, შეჯიბრებების, სამხედრო-სპორტული თამაშების, კონკურსების, გამოფენების, ოქტომბრელთა კვირეულის, ბავშვთა და მოზარდთათვის წიგნის, მუსიკის, ფილმის, მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის ჩატარებაში;

— პედაგოგიურ კადრებთან მუშაობა, მათი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ოსტატობის დონის ამაღლება.

### VI. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების სოციალისტური შეჯიბრების პირობები

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, თბილისის, ქუთაისის და თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების კოლექტივები.

სოციალისტური შეჯიბრება ტარდება პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

— რესპუბლიურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან ის კოლექტივები, რომლებიც გეგმას და აღებულ სოციალისტურ ვალდებულებებს დროულად და ხარისხიანად შეასრულებენ და მიაღწევენ საუკეთესო შედეგებს მუშაობის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახალხო მეურნეობის გეგმის მაღალეფექტური შესრულება, პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლება შიდა რეზერვების გამოვლენის, მათი მთლიანი გამოყენებისა და მუშაობაში მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების სამეცნიერო ძალების ფართო მოზიდვის საფუძველზე; ლექტორთა კადრებთან მუშაობის სისტემა;

— მეთოდურ დაწესებულებათა კადრების იდეური, მეცნიერული და მეთოდური დონის ზრდა;

— პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში სასწავლო დაწესებულებების აქტივიზაცია; კვალიფიკაციის ამაღლების პედაგოგიურ პროცესში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა; პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო პროცესში სწავლების ტექნიკურ საშუალებათა დანერგვა;

— მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების კოლექტივებსა და მათ მომსახურებაში მყოფ განათლების დაწესებულებებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლება;

— სოფლის მასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური მომსახურების ორგანიზაცია, მათთვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა; სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფისათვის სწავლების ახალი (პროგრესული) მეთოდების დაუფლებაში უმაღლესი სასწავლებლების, პედაგოგიური სასწავლებლების, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, პედაგოგიურ საზოგადოებათა განყოფილებებისა და საზოგადოება „ცოდნის“ მოზიდვა;

— მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და პროპაგანდა, მოწინავე გამოცდილების მუდმივმოქმედი გამოფენების ორგანიზაცია. რესპუბლიკური (საოლქო) გაზეთებისა და პედაგოგიური ჟურნალების ფურცლებზე სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილებიდან განზოგადებული მასალების გამოქვეყნება, ადგილებზე მოწინავე გამოცდილების ორგანიზაცია, სკოლების პრაქტიკაში პედაგოგიური მეცნიერების მიღწევათა დანერგვა;

— ატესტაციის დროს რეკომენდაციამიღებული მასწავლებლებისათვის დახმარების გაწევა ამ რეკომენდაციების შესასრულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად, მიზნობრივი სემინარების, კონსულტაციებისა და ა. შ. ორ-განიზაცია;

— რაიონული და საქალაქო მეთოდური კაბინეტებისადმი დახმარების სრულყოფა;

— მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება.

შეჯიბრების შედეგების დაჯამებისას გათვალისწინებული იქნება: მსმენელთა და თანამშრომელთა სასწავლო, შრომის დისციპლინის, შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის, აგრეთვე მათი შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების მდგომარეობა.

### მორალურ-მატერიალური წახალისების ღონისძიებები

მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად სახალხო განათლების სისტემაში რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესებულია:

### I. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებისათვის

— სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის 3 გარდამავალი წითელი დროშა (აქედან 1 ქალაქის განათლების განყოფილებისათვის, 2 რაიონის განათლების განყოფილებისათვის სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის);

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 10 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომებით და პირველი ფულადი პრემიით (აქედან ქ. თბილისის რაიონებისათვის — 1, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქებისათვის თითო გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომებით და ფულადი პრემიით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა დიპლომით;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის 87 დიპლომი პირველი ფულადი პრემიით.

(რაიონებიდან და ქალაქებიდან თითო სკოლა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის რაიონებისა და ქალაქების სკოლების ჩათვლით).

## III. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისათვის

